MINISTRY OF LABOUR
HEALTH AND
SOCIAL AFFAIRS

World Vision

მემორანდუმი

ურთიერთთანამშრომლობის შესახებ

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა

და

საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციას „World Vision International-ის ფილიალი საქართველოში"

შორის

2017

ერთი მხრივ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო (შემდგომში სამინისტრო), წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის ნინო ბერძულის სახით და მეორეს მხრივ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის ,,World Vision International-ის ფილიალი საქართველოში'' (შემდგომში - World Vision საქართველო), წარმოდგენილი საქართველოს პროგრამების დირექტორის ეკა ჟვანიას სახით (ერთობლივად მხარეებად წოდებულნი) გამოვხატავთ ურთიერთთანამშრომლობის სურვილს და ვთანმხდებით შემდეგზე:

მუხლი 1. მიზანი

მემორანდუმის მიზანია სამინისტროს და World Vision საქართველოს შორის თანამშრომლობა პერინატალური რეგიონალიზაციის მხარდასაჭერად, რომლითაც ერთობლივად განხორციელდება ღონისძიებები კახეთისა და სამცხე-ჯავახეთის მხარეებში არსებული პერინატალური მომსახურების მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულებების:

ა) პირველადი და განმეორებითი შეფასებისათვის;

ბ) პერინატალური მომსახურების მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულებების თანამშრომელთა გადამზადებისათვის;

გ) პერინატალური სერვისის მქონე დაწესებულებებისთვის პერინატალური სერვისის დონის მინიჭებისთვის;

დ) პერინატალური სერვისების რეგიონალიზაციის პროცესის მონიტორინგისთვის.

მუხლი 2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

სამინისტრო მისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს:

ა) პერინატალური რეგიონალიზაციის პოლიტიკის განსაზღვრასა და განხორციელებას;

ბ) პერინატალური მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებების შეფასებისათვის საჭირო მეთოდოლოგიის მიწოდებას;

გ) შეფასებისა და გადამზადების პროცესის კოორდინაციასა და მონიტორინგს;

World Vision საქართველო მისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს:

ა) კახეთისა და სამცხე-ჯავახეთის მხარეებში არსებული პერინატალური მომსახურების მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულებების პირველადი და განმეორებითი შეფასების მხარდამჭერი ღონისძიებების გატარებას;

ბ) პერინატალური მომსახურების მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულებების თანამშრომელთა გადამზადებას.

მუხლი 3. მემორანდუმის სხვა პირობები

ა) მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან და ძალაშია ხელმოწერის დღიდან 2 წლის განმავლობაში;

ბ) მემორანდუმში ნებისმიერი ცვლილებისა და დამატების შეტანა ხდება მხარეთა ურთიერთშეთანხმებით წერილობითი ფორმით;

გ) ნებისმიერ მხარეს შეუძლია ამ მემორანდუმის გაუქმება მხარეებისათვის წერილობითი შეტყობინების საფუძველზე;

დ) მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

მხარეთა რეკვიზიტები

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციას ,,World Vision International-ის ფილიალი საქართველოში''
მისამართი: ა.წერეთლის გამზირი №144	მისამართი: დ. აღმაშენებლის გამზირი №61
0159, თბილისი,	0102, თბილისი,
ტელეფონი: (+995 032) 2 51 00 11	ტელეფონი: (+995 032) 2 15 75 15
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე	საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის ,,World Vision International-ის ფილიალი საქართველოში" პროგრამების დირექტორი
ნინო ბერძული	ეკა ჟვანია
ხელმოწერა _____	ხელმოწერა _____
თარიღი 13.04.2017	თარიღი 12.04.2017